

შპს „ბასა სერამიკა“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „ბასა სერამიკა“

ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „ბასა სერამიკა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის


(ლარში)

		31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	146 662	114 585
		146 662	114 585
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	276 217	462 430
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	626 380	104 488
მარაგები	6	831 606	1 098 092
		1 734 203	1 665 010
მთლიანი აქტივები		1 880 865	1 779 596
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1 186 486	1 281 295
		1 186 586	1 281 395
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	7	138 703	160 450
		138 703	160 450
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	7	38 568	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	473 118	337 751
საგადასახადო ვალდებულებები		43 891	
		555 576	337 751
მთლიანი ვალდებულებები		694 280	498 201
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1 880 865	1 779 596

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 31 ივლისის შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

დავით ზარიძე



6-13 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების გასული წლის ნაწილია


შპს „ბასა სერამიკა“

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარში)

		31.12.2020	31.12.2019
ამონაგები	8	3 796 137	3 371 030
თვითღირებულება		(2 366 599)	(2 240 023)
საერთო მოგება		1 429 538	1 131 007
სხვა შემოსავლები		15 774	18 060
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	10	(1 011 711)	(707 210)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		(113 621)	(22 253)
სხვა ხარჯები		(985)	(574)
საოპერაციო მოგება		318 995	419 031
ფინანსური შემოსავალი	12	12 615	-
ფინანსური ხარჯი	12	(5 365)	(6 151)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		7 250	(6 151)
მოგება დაბეგვრამდე		326 244	412 880
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		326 244	412 880
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების			
გადაფასებიდან,			
გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		326 244	412 880

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 31 ივლისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



6-13 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	100	-	977 748	977 848
წმინდა მოგება	-	-	412 880	412 880
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	412 880	412 880
გაცემული დივიდენდი	-	-	(109 333)	(109 333)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	100	-	1 281 295	1 281 395
წმინდა მოგება	-	-	326 244	326 244
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	326 244	326 244
გაცემული დივიდენდი	-	-	(421 053)	(421 053)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	100	-	1 186 486	1 186 586

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 31 ივლისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

დავით ზარიძე

6-13 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განყოფილებით განხილულია



შპს „ბასა სერამიკა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შესავალი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს ბასა სერამიკა (შემდგომში – კომპანია) (406024234) დაფუძნდა 2010 წლის 14 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის ისნის რაიონში, მოსკოვის გამზ., კორპ. 11, ბინა 13

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო და საბითუმო ვაჭრობა კერამიკული ფილებით: კაფელი, მეტლახი

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2019 წლის და 2020 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2019 და 2020 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. კომპანია არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია უკანდაბრუნებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

გადასახადები

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს

გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოწვევებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

ცვეთის ნორმა (%)

ოფისის აღჭურვილობა	20
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20
ტრანსპორტი	20
სხვა ძირითადი საშუალება	15

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

3. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
1 იანვარი 2019	8 605	31 062	5 595	45 262
შემოსვლა	32 669	29 674	38 851	101 194
გასვლა		(5 886)		(5 886)
31 დეკემბერი 2019	41 274	54 850	44 446	140 570
პერიოდის ცვეთა	(5 273)	(10 970)	(9 742)	(25 985)
გაუფასურება	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-
ცვეთა და გაუფასურება	(5 273)	(10 970)	(9 742)	(25 985)
1 იანვარი 2020	36 001	43 880	34 704	114 585
შემოსვლა	10 755	38 771	50 368	99 894
გასვლა	-	(25 175)		(25 175)
31 დეკემბერი 2020	46 756	57 476	85 072	189 304
პერიოდის ცვეთა	(16 880)	(13 689)	(17 317)	(47 885)
გაუფასურება	-	-	-	-
გასვლა	-	5 244		5 244
ცვეთა და გაუფასურება	(16 880)	(8 446)	(17 317)	(42 642)
31 დეკემბერი 2020	29 877	49 030	67 755	146 662
წმინდა საბალანსო ღირებულება				-
1 იანვარი 2019	8 605	31 062	5 595	45 262
1 იანვარი 2020	36 001	43 880	34 704	114 585
31 დეკემბერი 2020	29 877	49 030	67 755	146 662

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2019	2020
ნაღდი ფული სალაროში	297 186	3 740
ეროვნული ვალუტა ბანკში	2 458	271 228
უცხოური ვალუტა ბანკში	162 786	1 248
სულ	462 430	276 217

5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2020
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	70 693	246 879
გადახდილი ავანსები	33 795	204 287
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი	-	-
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	-	175 215
სულ	104 488	626 380

6. მარაგები

მარაგები

	2019	2020
ნედლეული და მასალები	-	-
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	1 098 092	831 606
სულ	1 098 092	831 606

7. სესხები

გრძელვადიანი სესხების დაფარვის ვადაა 10 აპრილი 2025 წელი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 4%.

	2019	2020
გრძელვადიანი საბანკო სესხები	160450	138 703
	160 450	138 703
მოკლევადიანი გრძელვადიანი საბანკო სესხის მიმდინარე ნაწილი	-	38 568
		38 568
სულ სესხები	160 450	177 271

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2019	2020
სავაჭრო ვალდებულებები	312672	295 215
მიღებული ავანსები	25 079	177 903
სულ	337 751	473 118

9. ამონაგები

ამონაგები	2019	2020
საქონლის გაყიდვა	3 371 030	3 796 137
სულ	3 371 030	3 796 137

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2020
შრომის ანაზღაურება	(429 285)	(479 063)
მივლინების ხარჯები	(11 100)	(2 867)
სხვა ხარჯი	(21 058)	(189 472)
ტრანსპორტირების ხარჯი	(26 119)	(77 732)
იჯარის ხარჯი	(174 743)	(191 556)
ოფისის ხარჯი	(8 343)	(9 449)
კომუნალური ხარჯები	(7 405)	(9 101)
დაზღვევის ხარჯი	(368)	-
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(2 805)	(4 585)
ცვეთა და ამორტიზაცია	(25 984)	(47 885)
სულ	(707 210)	(1 011 711)

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

12. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელის მიერ 2021 წლის 31 ივლისს.